

ეთიკის კოდექსი

1. ზოგადი დებულებები

- 1.1 პროფესიული კოდექსი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირია, რომელიც დაარსდა პროფესიული საგანმანათლებლო მიზნების განსახორციელებლად;
- 1.2 დაწესებულების ავტონომია უზრუნველყოფს დამოუკიდებლად განსაზღვროს და განახორციელოს სასწავლო, ფინანსურ-მატერიალური და ადმინისტრაციული საქმიანობა;
- 1.3 დაწესებულება აერთიანებს ერთმანეთთან განსხვავებული ურთიერთობის მქონე პირებს განურჩევლად რასის, ფერის, ენის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის და საცხოვრებელი ადგილის;
- 1.4 წინამდებარე ეთიკის კოდექსი წარმოადგენს ა (ა) ი პ ადამიანი და ბუნება პროფესიული კოდექსის პერსონალის (შემდგომში დაწესებულების „წევრი“) და პროფესიული სტუდენტების (შემდგომში დაწესებულების „წევრი“) ეთიკური პრინციპების, ღირებულებებისა და ქცევის წესს;
- 1.5 დაწესებულების წევრები არიან: პროფესიული სტუდენტი, მასწავლებელი, ადმინისტრაციის პერსონალი, მოწვეული სპეციალისტები, პრაქტიკის ხელმძღვანელი;
- 1.6 როგორც დაწესებულების წევრებმა, ასევე თვით დაწესებულებამ შეიძლება გამოიყენოს ყველა ძირითადი უფლება, გარდა ისეთებისა, რომელთა გამოსაყენებლადაც აუცილებელია ადამიანისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი თვისებები;
- 1.7 დაწესებულებაში აუცილებელია, რომ მისი ყველა წევრი იცნობდეს და პატივს სცემდეს არა მხოლოდ საკუთარ, არამედ სხვა წევრების და თვით დაწესებულების უფლებებსა და ვალდებულებებს;
- 1.8 დაწესებულების წევრები გამოხატავენ მზაობას ურთიერთთანამშრომლობის შესახებ და მოქმედებენ ურთიერთპატივისცემისა და სრულყოფილი, სამართლიანი ურთიერთობისათვის;
- 1.9 დაწესებულება სხვადასხვა დარღვევების აღმოფხვრისა და შემცირების, ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული წესების დაცვის მიზნით ატარებს შეხვედრებს დაწესებულების წევრებთან;
- 1.10 დაწესებულება ქმნის ჯანსაღი კონკურენციის პირობებს, როგორც პერსონალს შორის, ასევე პროფესიულ სტუდენტებშიც, რასაც უზრუნველყოფს ადმინისტრაცია და თითოეული წევრი;
- 1.11 დაწესებულების ყველა წევრი ვალდებულია დაემორჩილოს დაწესებულების სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ ნორმებს;
- 1.12 დაწესებულების თითოეული წევრი ითვალისწინებს ადამიანის ძირითად უფლებებს და იცის:
 - ა) ყველას აქვს სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლება;
 - ბ) ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუხებელია;
 - გ) ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება;
 - დ) ყველას აქვს პირადი ცხოვრებისა და საკუთრების უფლება;
 - ე) ყველას აქვს თვითგამოხატვის უფლება;
 - ვ) ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობის და რწმენის თავისუფლება;
 - ზ) ყველას აქვს დაწესებულებაში საჯარო ინფორმაციის მიღების უფლება;

ი) ყველას აქვს დაწესებულების ფარგლებში მომწესრიგებელი ნორმების შესაბამისად თანასწორი სამართლებრივი მდგომარეობის მოთხოვნა;

1.13 დაწესებულება განსაზღვრავს ძირითად პრინციპებს:

ა) სამართლიან და თანასწორ მოპყრობას, განურჩევლად პირის ეთნიკური წარმომავლობისა, სქესისა, სოციალური წარმოშობისა, პოლიტიკური თუ რელიგიური შეხედულებებისა და სხვ.

ბ) დაწესებულების ფარგლებში სამართლიანობა, სასწავლო პროცესის გამჭვირვალობა, შესაბამისი ინფორმაციის საჯაროობა;

გ) პირადი და პროფესიული პასუხისმგებლობა;

დ) დისციპლინა.

2. სასწავლო პროცესი

2.1 დაწესებულების მიზანია დემოკრატიის პრინციპებისა და ჰუმანისტური იდეალების გათვალისწინებით საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა, რისთვისაც ქმნის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს;

2.2 დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტისათვის სწავლებისა და სასწავლო პროცესის ხელმისაწვდომობასა და გამჭვირვალობას;

2.3 მასწავლებელი მოქმედებს თავისუფლად პროფესიულ ფარგლებში, პროფესიულ სტუდენტთათვის სწავლებისა და სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით;

2.4 სწავლების პროცესის მიმდინარეობისას აუდიტორიებში უნდა სუფევდეს ურთიერთნდობის გარემო, რომელსაც ხელი უნდა შეუწყოს როგორც პროფესიულმა სტუდენტმა, ასევე, მასწავლებელმა;

2.5 მასწავლებელი განსაზღვრავს სწავლების მეთოდებსა და საშუალებებს;

2.6 მასწავლებელი და სხვა პერსონალი ზრუნავს, როგორც პროფესიული სტუდენტის, ასევე, საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე და იყენებს დაწესებულების მიერ შეთავაზებულ პირობებსა და წინადადებებს;

2.7 დაწესებულების პერსონალი თავისუფლად გადადგილდება დაწესებულების სივრცეში და იყენებს დაწესებულების ქონებას;

2.8 დაწესებულების წევრი განზრახ, თავისი ბრალით დაწესებულების ქონებისთვის მიყენებული ზარალის შემთხვევაში ვალდებულია მიყენებული ზიანი სრულად აანაზღაუროს.

3. სამართლიანი და თანასწორი მოპყრობა, განურჩევლად პირის ეთნიკური წარმომავლობისა, სქესისა, სოციალური წარმოშობისა, პოლიტიკური თუ რელიგიური შეხედულებებისა და სხვ.

3.1 მასწავლებელი თუ სხვა პერსონალი თანასწორად ეპყრობა ყველა პროფესიულ სტუდენტს, საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური ყურადღებით და გულისხმიერებით. საპასუხოდ კი, პროფესიული სტუდენტი პერსონალს ეპყრობა ღირსების დაფასებითა და პატივისცემით;

3.2 დაწესებულების ყველა პროფესიული სტუდენტი სარგებლობს უფლებით მოითხოვოს თანასწორი მოპყრობა დაწესებულების სხვა წევრების მხრიდან;

3.3 პროფესიული სტუდენტის მოლოდინს ობიექტური შეფასებისა და პერსონალის მხრიდან სრულყოფილი ინფორმაციის მიღება უნდა ამართლებდეს დაწესებულების თითოეული თანამშრომელი;

3.4 დაწესებულების წვერი პროფესიული სტუდენტი სარგებლობს უფლებით მიიღოს ნებისმიერი სახის საჯარო ინფორმაცია, ხარისხიანი განათლება, თანაბარ პირობებში ისარგებლოს დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური, საინფორმაციო ბაზით, მონაწილეობა მიიღოს დაწესებულების პერსონალის შეფასებაში, აირჩიოს სასწავლო პროგრამა, მოითხოვოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა, ისარგებლოს შიდა და გარე მობილობის უფლებით, მოითხოვოს დისციპლინური ღონისძიებების გატარების შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვა.

4. პირადი და პროფესიული პასუხისმგებლობა

4.1 პროფესიული სტუდენტი უნდა გრძნობდეს პასუხისმგებლობას, როგორც პერსონალის ასევე დაწესებულების წინაშე;

4.2 პროფესიული სტუდენტის განსხვავებული აზრის მოსმენა და განსჯა, გაზიარება, შესაბამისი, სამართლიანი გადაწყვეტილების მიღება, განმარტებები და ცვლილებები დაწესებულების წევრთა საქმიანობის ნაწილია;

4.3 პროფესიული სტუდენტი დაცულია სუბიექტური მიდგომებისა და შეფასებებისაგან დაწესებულების ნებისმიერი თანამშრომლისაგან;

4.4 მასწავლებელმა იცის უსამართლო შეფასებების დაუშვებლობა;

4.5 პროფესიულმა სტუდენტმა იცის, რომ გამოცდებზე ეკრძალება სხვა პროფესიულ სტუდენტებთან ურთიერთობა, მექანიკური საშუალებების გამოყენება, საგამოცდო საკითხების წინასწარ მოძიების მცდელობა, სხვისი ნაშრომის მითვისება, ადრე შექმნილი ნაშრომის სხვა სასწავლო წელს წარმოდგენა, შეფასებების მონაცემების განზრახ გაყალბების მცდელობა, ჩარევა სხვა სტუდენტების საქმეში, სასწავლო პროცესის განზრახ ხელის შეშლის მცდელობა;

4.6 მასწავლებელი ზრუნავს დააინტერესოს პროფესიული სტუდენტი სწავლითა და მუდმივ განვითარების პროცესით, რაც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის პიროვნებად ჩამოყალიბებას;

4.7 დაწესებულების ნებისმიერი წვერი უნდა იცავდეს საავტორო უფლებებს, როგორც დაწესებულების წევრებისა, ასევე გარეშე პირების;

4.8 დაწესებულების წევრებს უფლება აქვთ დაწესებულების გარეთ საზოგადო შეხვედრებსა და საუბრებში, მათ შორის რადიო, ტელევიზია, საგამომცემლო სფეროში, პირად საუბრებსა და საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილებში გამოხატონ თავიანთი აზრი დაწესებულების შესახებ მხოლოდ ობიექტურად და სამართლიანად, რეპუტაციის შემლახველი განცხადებების თავის შეკავებით;

4.9 დაწესებულების წევრები ვალდებული არიან საჯარო განცხადების გაკეთების შემთხვევაში განცხადების გაკეთებამდე შეუთანხმდნენ დაწესებულების მმართველ ორგანოს;

4.10 თუ წევრების მიერ ხდება ისეთი საკითხების კომენტირება, რომელიც არ ეხება მათ პროფესიულ საქმიანობას, მაშინ მათ უნდა განაცხადონ რომ კომენტარი კეთდება კერძოდ მათი მხრიდან და არა დაწესებულების სახელით;

- 4.11 დაწესებულების წევრებს უფლება აქვთ გამოიყენონ დაწესებულების ქონება, ინვენტარი დანიშნულებისამებრ და პატიოსნად, არ უნდა მოხდეს პირადი მიზნებისათვის გამოყენება თუ არ არსებობს დაწესებულების შესაბამისი ნებართვა;
- 4.12 დაწესებულების წევრი ვალდებულია არ დაუშვას პლაგიატობა – უფლებამოსილების გარეშე სხვისი იდეის, სამუშაოს, პროექტის, ნაწარმის გამოყენება, წყაროების დამახინჯება;
- 4.13 დაწესებულების პერსონალი ვალდებულია წინასწარ აცნობოს ა(ა)იპ ”ადამიანი და ბუნების” გამგ. თავჯდომარეს სხვა მსგავსი ტიპის დაწესებულებებთან თანამშრომლობის შესახებ;
- 4.14 დაწესებულება ფლობს ინტელექტუალურ საკუთრებას, რომლის დაწესებულებისგან უნებართვოდ გამოყენება ან გავრცელება დაუშვებელია;
- 4.15 ინტელექტუალური საკუთრება გულისხმობს საავტორო უფლებებს, დაწესებულების მიერ შემუშავებულ საქმიანობის მომწესრიგებელ დოკუმენტებს, დაწესებულების გამოცემებს, პროექტებს, აუდიოვიზუალურ ნაწარმს;
- 4.16 წევრებმა, რომლებისთვისაც ხელმისაწვდომია დაწესებულების დოკუმენტაცია ვალდებული არიან საიდუმლოდ შეინახონ კონფიდენციალური ინფორმაცია, მათ შორის დაწესებულების პერსონალის ხელფასის ოდენობა;
- 4.17 კონფიდენციალურია პროფესიული სტუდენტებისა და დაწესებულების პერსონალის პირადი საქმეები, გარდა უფლებამოსილი ორგანოს მიერ მოთხოვნის დროს;
- 4.18 დაწესებულების წევრეთა პირადი ინფორმაცია შესაბამისადაა დაცული;
- 4.19 პირადი და პროფესიული პასუხისმგებლობის აღების პრინციპი მოითხოვს არა ამარტო იმას, რომ ხალხმა შეწყვიტოს ერთმანეთისა და სხვათა საკუთრების ზიანის მიყენება, არამედ მათი მხრიდან ზრდილობიანი მოქცევის გამომუქავება, რომელიც დაწესებულების ყველა წევრს მოეთხოვება;
- 4.20 დაწესებულების წევრებს შორის კონფლიქტური სიტუაციების შემთხვევებში პერსონალი თუ პროფესიული სტუდენტი ვალდებულია ყოველგვარი უხეში ჩარევის გარეშე მხოლოდ სიტუაციის განმარტებით შემოიფარგლოს;
- 4.21 არაობიექტურობა დაწესებულების საქმიანობის ნებისმიერ პროცესში არის საფუძველი ნებისმიერი ბარიერის, რამაც შესაძლებელია ხელი შეუშალოს მუშაობის პირობებს და მომსახურების განხორციელებას;
- 4.22 დაწესებულების წევრები ვალდებული არიან თავიდან აიცილონ ისეთი მდგომარეობა, რომელიც წარმოშობს სამსახურეობრივ მოვალეობის ბოროტად გამოყენებას; მსგავსი სიტუაციის შექმნისას დაწესებულების პერსონალი ვალდებულია შეატყობინოს ამის შესახებ დაწესებულების ადმინისტრაციას;
- 4.23 დაწესებულების პერსონალს არ აქვს უფლება მოითხოვოს საჩუქარი ან დაავალდებულოს ვინმე რაიმე ქმედების შესრულებაზე;
- 4.24 დაწესებულების პროფესიული სტუდენტის მიერ თვითნებურად დაწესებულების პერსონალისათვის საჩუქრის გადაცემის სურვილის შემთხვევაში პერსონალი ვალდებულია აცნობოს ამის შესახებ ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.

5. დისციპლინა

5.1 დანესებულებაში იკრძალება ალკოჰოლის, ნარკოტიკული საშუალებების, იარაღის შეტანა და მოხმარება, ასევე დანესებულებაში აკრძალულია აზარტული თამაშები;

5.2 დანესებულების ტერიტორიაზე მონევა დაუშვებელია;

5.3 დანესებულებაში დაუშვებელია სწავლის პროცესისათვის ხელის შეშლა, ხმაური, აუდიტორიაში მობილური ტელეფონის გამოყენება;

ეთიკის კოდექსით განსაზღვრული წესების დარღვევა იწვევს დისციპლინარულ გადაცდომას.